

შპს „ტერასა „

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდი

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები
4. შემოსავალი
5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები
7. კომერციული ხარჯები
8. საპროცენტო ხარჯი, წმინდა
9. კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული ზარალი , წმინდა
10. ძირითადი საშუალებები
11. სასაქონლო-მატერიალური მარაგები
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
13. ფული და დულის ეკვივალენტები
14. სხვა ვალდებულებები
15. მიღებული სესხები
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

17. ფინანსური ინსტრუმენტები-რისკების მართვა
18. საბუღალტრო პოლიტიკის ცვლილებების შედეგები
19. შესაბამისი პარტიის გარიგება და სათანადო ბალანსი
20. ვალდებულებები და პირობები
21. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეათავსოს და საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადლოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობის გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე :

- ვადგენთ და ვათასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე

შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგვემოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის იმფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი იმფორმაცია არაა დეკლარირებული, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენს აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ,მათ შორის ,შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ტერასა

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის,რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	31.12.2018	31.12.2017
ნეტო ამონაგები	2,161,455	2,214,095
საქონლის გაყიდვიდან	-	-
მომსახურების განვიდან	2,161,455	2,214,095
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	-	-
სხვა	-	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(349,430)	(319,455)
საწყისი მარაგები	71,262	65,669
მარაგების შესყიდვა	350,324	325,048
გადამუშავების დანახარჯი		
საბოლოო მარაგი	72,156	71,262
საერთო მოგება	1,812,026	1,894,639
სხვა შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(607,505)	(544,940)
ცვეთა და ამორტიზაცია	(91,177)	(126,204)
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	(4,519)	(17,384)
იჯარის ხარჯი	(383,045)	(307,914)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(573,480)	(363,024)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,659,727)	(1,359,466)
საოპერაციო მოგება	152,299	535,173
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	-	-
ფინანსური აქტივები	-	-
მარაგები	-	-
სხვა არაფინანსური აქტივები	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(15,606)	(2,685)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	136,693	532,488
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	136,693	532,488

შპს ტერასა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	31.12.2018	31.12.2017
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	317,201	240,896
გადახდილი ავანსები	-	-
სავაჭრო მოთხოვნები	26,461	8,127
მარაგები	74,268	71,589
მზა პროდუქცია	-	-
სხვა მარაგები	74,268	71,589
საინვესტიციო ქონება	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-
ბიოლოგიური აქტივები	-	-
თვითიღირებულების მოდელით	-	-
გადაფასების მოდელით	-	-
გუდვილი	-	-
სხვა არამატერიალური აქტივი	-	-
ძირითადი საშუალებები	217,083	156,593
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა შვილობილ ინსტრუმენტებში	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-
სულ აქტივები	635,012	477,205
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	213,852	24,985
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	(139,488)	(117,577)
საგადასახადო ვალდებულებები	-	-

გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-
მიმდინარე სასესიო ვალდებულებები	(12,417)	(12,417)
გრძელვადიანი სასესიო ვალდებულებები	95,216	-
მიღებული გრანტები	-	-
სხვა ვალდებულებები	(500,630)	(376,573)
სულ ვალდებულებები	(343,467)	(481,582)
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	841,786	426,298
საემისიო შემოსავალი	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	136,693	532,488
გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა რეზერვები	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	978,479	958,786
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	635,012	477,205

შპს ტერასა

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის , რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარშ)

	31.12.2018	31.12.2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	100,526	263,908
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(24,221)	(212,480)
სავალუტო კურსის ეფექტი		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	76,306	51,429
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	240,896	189,467
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	317,201	240,896

ი)

1.ზოგადი იმფორმაცია

შპს ტერასა (შემდგომში- კომპანია) არის 2014 წელს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართით: პოლიკარტე კაკაბაძის ქუჩა#7, თბილისი, საქართველო .

კომპანიის ძირითადი საქმიანობა სასტუმრო რესტორანია.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ, ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს– ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

2.2 ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

კერძოდ

- ფასს 9 -ფინანსური ინსტრუმენტები
- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან .

აღნიშნული სტანდარტების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოცემულია ქვემოთ პენიშენებში.

სხვა ახლა გამოცემულ სტანდარტებსა, ინტერპეტაციებსა და შესწორებებს რომელსაც მომდევნო წლიდან გამოიყენებს კომპანია, გავლენა არ მოუხდენია მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში.

ახალი სტანდარტები, ინტერპეტაციები და შესწორებები, რომლებიც ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან შედის კომპანიას ჯერ არ გამოუყენებია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

იჯარა ფასს 16 - იჯარა - ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განესაზღვროთ. შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის

პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას. ამჟამად, კომპანია აფასებს ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

2.4 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის

შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044